# LLC "POTI FOUNDRY"

MALTAKVIS SANAPIRO №7, 4400 POTI, GEORGIA


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

თქვენი 2020 წლის 2 აპრილის № 3537/01
წერილის თაობაზე, რომელიც ეხება ქ. ფოთში,
ლარნაკას ქუჩა #5-ში შ.პ.ს. „ფოთი ფაუნდრი"-ს
მიერ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების
წარმოების ქარხნის მოწყობისა და ექსპლუატაციის
პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების
(გზშ) ანგარიშისათვის დამატებითი ინფორმაციის
წარმოდგენას

ქალბატონო ნინო,

წარმოგიდგენთ დამატებით ინფორმაციას, თქვენი 2020 წლის 2 აპრილის № 3537/01
წერილში მოცემული შენიშვნების მიხედვით, ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩა #5-ში შ.პ.ს.
„ფოთი ფაუნდრი"-ს მიერ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების
ქარხნის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების
(გზშ) ანგარიშისათვის. კერძოდ, საწარმოს მიერ დაგეგმილი 3 000 ტ/წელ. პროდუქციის
(სპილენძის სხმულების) მისაღებად წელიწადში გადამუშავდება დაახლოებით 3 100
ტონა სპილენძის ჯართი.
მოცემული 3 100 ტონა სპილენძის ჯართით (მეორადი ნედლეულით) მომარაგების
მიზნით დაგეგმილია საწარმოში შემოტანილი იქნეს დაახლოებით 50% სპილენძის


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
№ 6469
"27" 04 2020
3 ფ.

ჯართის სახით, ხოლო დაახლოებით 50%-ის უზრუნველყოფის მიზნით
საწარმოში
შემოტანილი იქნება სპილენძის შემცველი ხელსაწყოების (ელექტრო ძრავები)
ნარჩენები
და ამ ნარჩენების საწარმოში გადამუშავების (დაშლა-დახარისხების) შემდეგად
დამზადდება სპილენძის ჯართი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილია საწარმოში შემოტანილი
იქნეს:
1. სპილენძის ჯართი მეტალური ნარჩენების სახით (კოდებით 16 01 18, 17 04 01,
19
10 02, 19 12 03, 20 01 40);
2. სპილენძის კომპონენტების შემცველი მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოების
(ელექტრო ძრავები) ნარჩენები (კოდით 16 02 14), რომლებიც არ შეიცავს
სახიფათო
ნივთიერებებს. ამ ნარჩენების საწარმოში გადამუშავების (აღდგენის ოპერაციის
კოდით
R12) შედეგად მოხდება სპილენძის შემცველი კომპონენტების ამოღება-
დახარისხება.
ელექტრო ძრავების შემცველი სხვა კომპონენტები ასევე დახარისხდება
სახეობების
მიხედვით და მოხდება მათი დროებითი შენახვა სახეობების მიხედვით და
დაგროვების
შესაბამისად შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე
ორგანიზაციებს.
საწარმოში დაგეგმილია მეტალური ნარჩენების (სპილენძის ჯართის) შემდგომი
გადამუშავება და თერმული მეტალურგიით სუფთა სპილენძის მიღება (აღდგენის
ოპერაციის კოდით R4).
პატივისცემით,
ვახტანგ ალანია
შპს „ფოთი ფაუნდრი"-ს დირექტორი.

შ.პ.ს "ფოთი ფაუნდრი"
(ს/კ 415104639)
დირექტორი

ვ.ალანია